



შეთავაზებების მიღება უძრავი ქონების გასხვისებაზე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე უძრავის ქონების გასხვისების მიზნით აცხადებს შეთავაზებების მიღებას.

1. უძრავი ქონების მახასიათებლები:

მესაკუთრე: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (ს/ნ: 202255692)

ზონა: თბილისი

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ძმები ზუბალაშვილები, N33; ქალაქი თბილისი, ქუჩა ალ.

ჭავჭავაძე N8

სექტორი: მთაწმინდა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება

საკუთრება: ფართი ბინა N13 და N16

ფართი: 112.00 კვ.მ.

ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.15.05.011/003.01/016

ფართი: 98.00 კვ.მ.

ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.15.05.011/003.01/013

2. უძრავი ქონების შეძენის პრეტენდენტმა შეთავაზებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

იურიდიულმა პირებმა:

▶ ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღა, აკრძალვა) შესახებ (საჯარო რეესტრიდან);

▶ აღსრულების ეროვნული ბიუროდან გაცემული ამონაწერი მოვალეთა რეესტრიდან;

▶ ცნობა სასამართლოდან, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს

გადახდისუნარიანობის საქმისწარმოება;

▶ პრეტენდენტის რეკვიზიტები: იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა).

ფიზიკურმა პირებმა:

- ▶ აღსრულების ეროვნული ბიუროდან გაცემული ამონაწერი მოვალეთა რეესტრიდან;
- ▶ პრეტენდენტის რეკვიზიტები: იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, პირადი ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა).

3. შეთავაზება უნდა მოიცავდეს:

- (ა) ნასყიდობის თანხის გადახდის პირობებსა და ვადებს;
- (ბ) ნასყიდობის თანხის ოდენობას, რომლის საწყისი თანხა არ უნდა იყოს ნაკლები ვიდრე: 1 კვ. მ. -1 300 \$ (შესაბამისი გაცვლითი კურსით ლარში).

პრეტენდენტი ვალდებულია შეთავაზება (მოთხოვნილი დოკუმენტაციით) წარმოადგინოს სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.

4. წინამდებარე შეთავაზება უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნას ხელშეკრულების დადების წინადადებად (ოფერტად) და პრეტენდენტის მიერ, სათანადო მოთხოვნების შესაბამისად (განცხადების მე-2 და მე-3 პუნქტი) წარმოდგენილი შეთავაზება გამყიდველისთვის არ წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მავალდებულებელ პირობას.

5. პრეტენდენტების მიერ, წარმოდგენილ შეთავაზებებს განიხილავს უძრავი ქონების გასხვისების მიზნით შექმნილი დროებით კომისია და დამატებითი პირობებისა თუ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობება შესაბამის პრეტენდენტს.

6. პრეტენდენტებმა, შეთავაზება და დამატებით მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში ან გამოაგზავნონ დისტანციურად ელექტრონული ფოსტის - audit@gba.ge საშუალებით, არაუგვიანეს **2019 წლის 16 სექტემბრის 18 საათისა**.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, მიმართოთ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას: მისამართი: ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N36, საკონტაქტო პირი: მედეა გამდლიშვილი, ტელეფონი: 551 08 76 01, ელ.ფოსტა: audit@gba.ge.